

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 7

ქ.თბილისი

2020 წლის 21 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 21 ოქტომბერს, სრკ-ს ბრძანება # 323/ბ 12/10/2020-ის მიხედვით სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 8 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუწარინანად, ამის გამო არცერთ მონაწილე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა მაჭავარიანი, ლაშა თავართქილაძე, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის თ. მანაგაძის ოქმი და საითინგი, მთავარი მსაჯის კ. გელოზიას წითელი ბარათის ომები, ამა წლის 13 ოქტომბერს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, თბ „ლოკომოტივი“-სა და გორის „გორი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „ლოკომოტივის“ მორაგბე საბა ფოცხვერაშილი - კონფლიქტის პროვოცირება.
2. გორის „გორი“-ს მორაგბე ლუკა დოგუზოვი - კონფლიქტის პროვოცირება.
3. გორის „გორი“-ს მორაგბე ლექსო ჯირკველიშვილი - მეტოქისთვის ტრავმის მიყენების მცდელობა.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7, 2.2.8, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ის 2.8 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე ს. ფოცხვერაშილი დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით.
2. გორის „გორი“-ს მორაგბე ლ.დოგუზოვი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
3. გორის „გორი“-ს მორაგბე ლ. ჯირკველიშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 4(ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჟარიმდეს 200(ორასი) ლარით.
4. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.8 პუნქტი და კლუბ გორის „გორს“ ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი/